ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3565140

ნომერი: AR1541552

თარიღი : 19.09.2017

გაცემის თარიღი : 25.09.2017

გაცნობის თარიღი : 26.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ს. ჩიქოვანი , N 27 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ს. ჩიქოვანი , N 25 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩაილური , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსი ზაიცევი პ/ნ 01015013633
- ბარათაშვილის 6/10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 აპრილის №3226321 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს(შემდგომში -

სამსახური) 2017 წლის 19 სექტემბრის №AR1541552 განცხადებით მომართა ალექსი ზაიცევმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 25 აპრილის №3226321 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 აპრილის №3226321 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ს.ჩიქოვანის ქუჩა №25-ში და №27-ში და ჩაილურის ქუჩა N 4-ში მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.10.17.045.022, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 25 აპრილიდან 2020 წლის 25 აპრილის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირებულია 715.7 კვ.მ ნაცვლად 718.9 კვ.მ-სა, საერთო ფართობად დაფიქსირებულია 4841.7 კვ.მ ნაცვლად 4844.9 კვ.მ-სა.
სამსახურმა 2017 წლის 19 სექტემბრის №AR1541552 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა სამსახურის 2017 წლის 25 აპრილის №3226321 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 25 აპრილის №3226321 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 აპრილის №3226321 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 718.9 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდეს 4844.9 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 აპრილის №3226321 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 აპრილის №3226321 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.